



ზოია ფირზადი  
შეხვედრები  
რომანი და მოთხრობები

زویا پیرزاد

عادات می کنیم

رمان و داستان‌ها

მთარგმნელები მზია ბურჯანაძე, თეა შურლაია  
რედაქტორი თამრი ფხაკაძე

გარეკანზე გამოყენებულია თეა შურლაიას ფოტო.

დიზაინერი ბესიკ დანელია  
დიზაინერი ნინო გურული

**Un jour avant Pâques, Les taches, Père Lachaise, Les fleurs au centre de ce couvre-lit**

© Nashr-e Markaz Publishing Company. Tehran, Iran.

Georgian copyright arranged with Editions Zulma, Paris  
All rights reserved.

**On s'y fera**

© Zoyâ Pirzâd

Georgian copyright arranged with Editions Zulma, Paris  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-406-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ზონა ფირზადი

შევეგუეპით



## სარჩევი

წინასიტყვაობა .....7

### მოთხრობები

აღდგომამდე ერთი დღე რჩება .....	25
აღუბლის კურკები (მთარგმნელი მ. ბურჯანაძე).....	25
ნიჟარები (მთარგმნელი მ. ბურჯანაძე).....	69
თეთრი იები (მთარგმნელი მ. ბურჯანაძე).....	107
ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში (მთარგმნელი თ. შურღაია) ...	134
ლაქები (მთარგმნელი თ. შურღაია) .....	138
პერლაშეზი (მთარგმნელი მ. ბურჯანაძე) .....	164

### რომანი

შევეგუებით (მთარგმნელი თ. შურღაია) .....201



## წინასიტყვაობა

ეს წიგნი მთარგმნელების მესამე საერთო კრებულია. ქართველ მკითხველს, რომელიც თანამედროვე უცხოური ლიტერატურის თარგმანებით ინტერესდება, შესაძლოა, ყურადღება მიექცია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უკვე გამოიცა სპარსული ენიდან თარგმნილი ნაწარმოებების ორი კრებული ამავე მთარგმნელების ავტორობით. ამ მოვლენას, ალბათ, შემთხვევითობას ვერ დავარქმევთ, თუმცა ვერც ჩვენს – მთარგმნელების – მიზანმიმართულ დაჟინებად მივიჩნევთ. ვფიქრობთ, მოხდა ინტერესებისა და ლიტერატურული გემოვნების თანხვედრა და, როდესაც სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გაბნეულმა, ჩვენ მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თარგმნილმა, თხზულებებმა გარკვეულ ოდენობას მიაღწია, საჭიროდ მივიჩნიეთ, მათთვის ერთიანი სახე მიგვეცა, დაგვემატებინა ახალი თარგმანებიც და კრებულის სახით შეგვეთავაზებინა მკითხველისთვის. ასე „დაიბადნენ“ გოლი თარაყის „სახლი ზეცაში“ („დიოგენე“, 2004 წ.); ამ წიგნის გამოცემის იდეისა და მისი განხორციელებისთვის ქალბატონ თამარ ლებანიძეს დიდ მადლობას ვუხდით) და სხვადასხვა ირანელი მწერლის „თოთხმეტი სევდიანი ამბავი“ („უნივერსალი“, 2008 წ.).

წინამდებარე კრებულის შექმნის ისტორია კი სხვაგვარია: ამ შემთხვევაში გაცნობიერებულად გაგვიჩნდა იდეა, ლიტერატურის მოყვარული ქართველი საზოგადოებისათვის გაგვეცნო კონკრეტული ირანელი მწერალი ქალი ზოია ფირზადი და მისი კონკრეტული ნაწარმოებები: რომანი „შევეგუებით“ და ერთი

თემატიკით შეკრული სამი მოთხრობა საერთო სათაურით „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“.

ზოია ფირზადის შემოქმედებაში ორი საკითხია წამყვანი: 1. გენდერული (რომლის საინტერესო და ორიგინალურ გააზრებას გვთავაზობს რომანი „შევეგუებით“) და 2. სხვადასხვა კონფესიის თანაარსებობა ისლამურ რესპუბლიკაში (რომლის ღრმა და დელიკატურ ასახვასაც წარმოადგენს სამი მოთხრობა საერთო სათაურით „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“). გვსურდა რა, შეძლებისდაგვარად სრულად გადმოგვეცა ფირზადის შემოქმედების მთავარი პათოსი და ხიბლი, არჩევანი ზემოხსენებულ ნაწარმოებებზე შევჩერეთ.

გარდა ამისა, მწერლის მხატვრული სამყაროსა და შემოქმედების მრავალფეროვნების უკეთ წარმოსაჩენად აღნიშნულ თხზულებებს დავუმატეთ სამი ნოველა: „ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში“ (კრებულიდან „როგორც ყოველ საღამოს“), „ლაქები“ და „პერლაშეზი“ (კრებულიდან „ხურმის მწკლარტე გემო“). მიუხედავად იმისა, რომ ეს ნოველები კრებულის საერთო „სულისკვეთებას“ არ შეესაბამება, ვიმედოვნებთ, მკითხველს სამივე ნოველა კარგი ნაწარმოების კითხვით გამოწვეულ სიამოვნებას განაცდევინებს.

ზოია ფირზადი მე-20 საუკუნის მინურულს გამოჩნდა ირანის ლიტერატურულ სივრცეში და ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა. ამას მოწმობს იმ ლიტერატურული პრემიების ჩამონათვალი, რომლებიც მის წიგნებს მიენიჭა:

ნოველების კრებული „ხურმის მწკლარტე გემო“ – 1997 წ. – პრემია „პროზის ოცი წელი“;

მოთხრობების კრებული „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“ – 1999 წ. – პრემია „წლის წიგნი“;



რომანი „შუქს მე ჩავაქრობ“ – 2001 წ. – „წლის საუკეთესო რომანი“ (სხვადასხვა ლიტერატურული საზოგადოების ოთხი პრემია ერთი ნომინაციით).

აქვე შევნიშნავთ, რომ ზოია ფირზადი მთარგმნელიც გახლავთ. თარგმნილი აქვს ლუის კეროლის „აღისა საოცრებათა ქვეყანაში“ და იაპონური პოეზიის ნიმუშები.

ნოველების სამი კრებულისა („როგორც ყოველ საღამოს“, „ხურმის მწკლარტე გემო“, „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“) და ორი რომანის („შუქს მე ჩავაქრობ“, „შევეგუებით“) ავტორი ზოია ფირზადი ევროპისთვისაც საინტერესო მწერალი აღმოჩნდა. თანამედროვე ირანელ ავტორთაგან იგი ერთადერთია, ვისი შემოქმედებაც მთლიანად არის თარგმნილი ფრანგულად. მისი თხზულებები ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ბერძნულ ენებზეც ითარგმნა და მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობს ზ. ფირზადის ნაწარმოებების თარგმანი აღმოსავლურ (თურქულ და ჩინურ) ენებზე. ვფიქრობთ, მწერალი ქალის ასეთი „იოლი“ და უპირობო შესვლა ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში, უდავო ბელეტრისტული ღირებულებისა და აღმოსავლური კოლორიტის გარდა, მისი ნაწარმოებების ფემინისტურმა ელფერმაც განაპირობა.

ვერ ვიტყვი, რომ ზოია ფირზადი გასაკუთრებული დაჟინებით გამოხატავს ფემინისტურ განწყობას, მაგრამ როგორც ჰუმანისტი, როგორც მოქალაქე და, ბოლოს და ბოლოს, როგორც ქალი მწერალი, ცდილობს, განსაზღვროს ქალის ადგილი საზოგადოებაში, მისი როლი ოჯახსა და მის გარეთ. ამდენად, ცხადია, რომ მისი შემოქმედება ფემინისტურ მახასიათებლებს მოკლებული არ არის.

ფრანგ მკითხველთან შეხვედრისას, რომელიც ზ. ფირზადის პირველი რომანის „შუქს მე ჩავაქრობ“ გამოცემის გამო

გაიმართა, მწერალმა განაცხადა: „ვფიქრობ, ქალები უფრო საინტერესონი არიან, ვიდრე მამაკაცები“. ზ. ფირზადის პერსონაჟ მამაკაცთა გალერეაში დადებითი გმირებიც არიან და უარყოფითებიც, მაგრამ მწერლის უპირატესი ინტერესი და ყურადღება ქალი პერსონაჟებისა და მათი პრობლემებისკენაა მიმართული. ერთ-ერთ ფრანგ მკითხველ ქალს უთქვამს მწერლისთვის: „არ ვიცოდი, რომ ირანელ ქალებსაც იგივე პრობლემები ჰქონდათ, რაც ჩვენო“. სწორედ საერთო სატიკვარი და ადამიანური განცდები, რომლებზეც საუბარია ზოია ფირზადის თხზულებებში, უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი პოპულარობისა დასავლეთშიც.

ზოია ფირზადმა წერა (ყოველ შემთხვევაში, ბეჭდვა) საკმაოდ გვიან დაიწყო. მისი ეს ბიოგრაფიული დეტალიც, ვფიქრობთ, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის ადგილის ტრადიციულმა, პატრიარქალურმა, გაგებამ განსაზღვრა. ფირზადს აქვს ერთი ნოველა „პამიდორი და კურდღელი“, რომელიც ძალიან წააგავს ავტობიოგრაფიულ ამბავს: ნოველის პერსონაჟი ახალგაზრდა დიასახლისი ქალი – დედა და ცოლი – ყოველ საღამოს (როდესაც ბავშვებს დააძინებს, სამზარეულოს მილაგებს და ა.შ.) მოთხრობის დაწერას აპირებს, მაგრამ, მოთხრობის ნაცვლად, ყოველ საღამოს გულმოდგინედ წერს მეორე დღეს საყიდელი პროდუქტების სიას.

ქალის ფუნქციის განსაზღვრა ოჯახსა და საზოგადოებაში გახლავთ სწორედ ზოია ფირზადის ორივე რომანისა და ბევრი ნოველის თემა. სხვადასხვა თაობისა (დანწყებული მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან) და სხვადასხვა სოციალური სტატუსის, სხვადასხვა კონფესიის პერსონაჟები ქმნიან ზოია ფირზადის ქალთა გალერეას. ამდენად, ცხადი ხდება, რომ გენდერული დისკრიმინაცია (გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი, ხში-

რად – გაუცნობიერებელი თვით ქალის მიერაც კი) არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი რომელიმე სოციუმის ან ერთი რომელიმე კონფესიის კუთვნილებას: ფირზადის გმირები მუსლიმებიც არიან და ქრისტიანებიც (ირანში მცხოვრები სომხური დიასპორის წარმომადგენლები), ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც, განათლებულებიც და უსწავლელებიც, მაგრამ მათი მიმართება ქალის ადგილისა და ფუნქციისადმი დაახლოებით ერთია: მისი ადგილი ოჯახშია. უკეთეს შემთხვევაში – პატივცემული, სიყვარულითა და ყურადღებით მოსილი დიასახლისის სტატუსით, უარესში კი – ოჯახის მოსამსახურის როლში.

ზოია ფირზადის რომანში „შუქს მე ჩავაქრობ“, რომელიც უკვე 43-ჯერ გამოიცა ირანში, მოვლენები ქრისტიანულ (სომხურ) საზოგადოებაში ვითარდება (აქვე შევნიშნავთ, რომ მწერალი ქალი დედით სომეხია და მისთვის სომხურ ოჯახში დამკვიდრებული ადათ-წესები გარედან დანახული არ გახლავთ). კლარისის ქმარი არტუში განათლებული, კარგად აღზრდილი კაცია, რომელიც თავისი კულტურული სოციუმის ფონზეც კი გამოირჩევა აზროვნების სიღრმითა და მოვლენების მიმართ ჰუმანისტური დამოკიდებულებით. დიდ პატივს სცემს თანამშრომელ ქალს – ქალბატონ ნუროლაჰს. თითქოს არც ასხვავებს ქალისა და მამაკაცის უფლებებსა და შესაძლებლობებს საზოგადოებრივ სარბიელზე. მაგრამ ეს – ოჯახს გარეთ. არტუში არ ინდომებდა, რომ მისი ცოლიც ისეთივე „პატივცემული“ მუშაკი ყოფილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ქალბატონი ნუროლაჰია. იქნებ გაუცნობიერებლადაც, მაგრამ გულდაგულ „ემალება“ იმ ფაქტს, რომ სკოლის დირექტორი მის ცოლს აკითხებს საკუთარ თარგმანებს, რადგან მის ლიტერატურულ გემოვნებას ენდობა; რომ მისი ცოლის თარგმანებს ხანგამომვებით საბავშვო ჟურნალები ბეჭდავენ...

თუმცა ამ საკითხშიც – გენდერული თანასწორობისა თუ პრიორიტეტების საკითხშიც – დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ პიროვნების დამოკიდებულებას პრობლემისადმი. რაც მისაღები და იდეალურია ერთისთვის, შეიძლება, სრულიად მიუღებელი და აუტანელი აღმოჩნდეს მეორისთვის. როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ზოია ფირზადის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „ბინა“. სააგენტოს თანამშრომელი ქალი ქმარს ეყრება. ეყრება, რადგან ველარ უძლებს ქმრის პედანტურ აკურატულობას და ამასთან დაკავშირებულ მის მუდმივ უკმაყოფილებას ცოლის ცუდი დიასახლისობის გამო. თავისთვის ბინის ძებნისას ქალი პედანტურად აკურატული დიასახლისის ბინაში მოხვდება. ამ ქალბატონს კი ქმარი სწორედ ამ აკურატულობისა და „იდეალური“ დიასახლისობის გამო ეყრება. სააგენტოს თანამშრომელი ქალი ფიქრობს: „ნეტავ, იმ დღეს ჩემ მაგივრად შენ შეხვედროდი ფარამარზს“.

სადავო არაა, რომ ფემინისტურმა მოძრაობამ ქალს ბევრი სიკეთე მოუტანა. კონსტიტუციურად მისი უფლებები მამაკაცისას გაუტოლდა. რეალურ ცხოვრებაშიც, ძირითადად, ქალმა მოიპოვა ის უფლებები, რისთვისაც იბრძოდა. ემანსიპაცია აუცილებელი მოვლენა იყო ქალის გასათავისუფლებლად, მასში პიროვნების გასავითარებლად. მაგრამ საინტერესოა, რამდენად სასურველ სტატუსამდე მივიდა ემანსიპირებული ქალი? ზოია ფირზადის პერსონაჟები, ძირითადად, „ზომიერად“ ემანსიპირებული ქალები არიან. მხოლოდ ბოლო (რიგით მეორე) რომანში „შევეგუებით“ აღწევს ქალი ემანსიპაციის „იდეალურ“ ხარისხს: არეზუ არათუ თავისუფალია საკუთარი ბედისა და ცხოვრების წარმართვაში, იგი საბინაო სააგენტოს ერთპიროვნული მმართველი და დედისა და ქალიშვილის ერთადერთი პატრონი და

მარჩენალია. და აქ ჩნდება ახალი პრობლემა: არის კი ამგვარი, უკიდურესი და უპირობო, ემანსიპაცია ქალის იდეალი? ირკვევა, რომ არც ასეთი სრული დამოუკიდებლობა ყოფილა ქალისთვის „ნათელი მიზანი“ და ბედნიერება. ქალს ღლის „ვაჟკაცი ქალის“ სოციალური სტატუსი და მისი სულიცა და ხორციც მისკენ მიილტვის, ვისაც შეიძლება მიენდოს და ტვირთის ნაწილიც გადააბაროს. როგორც ჩანს, ბუნებისგან დაწესებულ განსხვავების პირწმინდად ნაშლის მცდელობა მორალურსა და ფიზიკურ დისკომფორტს უქმნის თავად ემანსიპაციის ქომადგობსაც.

თანამედროვე ტიპის რომანი „შევეგუებით“ ირანში პირველად რვა წლის წინ გამოქვეყნდა. მისმა გამოსვლამ (განსხვავებით ტრადიციული რომანისგან „შუქს მე ჩავაქრობ“, რომელიც მკითხველებმაც და კრიტიკოსებმაც ერთნაირად თბილად მიიღეს) არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ რომანი რვა წლის მანძილზე ოცდაექვსჯერ დაბეჭდილიყო. „შევეგუებით“, გარკვეული თვალსაზრისით, „ქალაქური“ („თეირანული“) რომანია, თეირანელთა ყოფის ერთგვარი სარკე. აქ მოვლენები, პირველი რომანისგან განსხვავებით, მუსლიმურ წრეში ვითარდება. მოქმედება, ძირითადად, დედაქალაქის ჩრდილოეთში მდებარე პრესტიჟულ რაიონებში მიმდინარეობს და პერსონაჟებიც, მეტ-ნაკლებად, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. ერთ-ერთი ევროპელი ავტორი შენიშნავდა, ეს რომანი ირანული საზოგადოების ერთგვარ ფოტოგრაფირებას წარმოადგენსო. მართლაც, ძნელად მოიძებნება მეორე ნაწარმოები, რომელიც ასე ზუსტად და დეტალურად ხატავს თეირანსა და თეირანელების ყოფა-ცხოვრებას, ამ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჩვევებსა და მიღებულ ქცევებს.

ზ. ფირზადის ინტერესი ქალის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შინაგანი სამყაროს მიმართ ამ რომანში განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება. რომანის ძირითადი პერსონაჟები ქალები არიან, რომლებიც სამ თაობას წარმოადგენენ. მთავარი გმირი, 41 წლის არეზუ (ეს სახელი სპარსულად „სურვილს“, „ნატვრას“ ნიშნავს), რომელსაც პირადი ცხოვრება არ აენწყო, ბიზნესის სფეროში საკმაოდ წარმატებული გამოდგა. რომანის პირველივე ფურცლებიდან ჩანს, რომ საქმიან, საკუთარი ცხოვრების პატრონ, „ვაჟკაც“ ქალთან გვაქვს საქმე. მაღლევე ირკვევა, რომ არეზუმ გარდაცვლილი მამის როლი არა მარტო ბიზნესში, არამედ ოჯახშიც იტვირთა, პრაქტიკულად, მამა-მარჩენლად იქცა, მამაკაცის ფუნქცია ივალა. დედაც და ქალიშვილიც მას სწორედ ასე უყურებენ: არა როგორც ახალგაზრდა ქალს, არამედ როგორც მარჩენალს, რომლის ცხოვრების არსი ოჯახის წინაშე ვალდებულებებია მხოლოდ. არეზუს ხანმოკლე „თავისუფლებაც“ კი, როგორცაა ორი-სამი დღით ჩრდილოეთში გამგზავრება, მაჰმონირის (დედის) გალიზიანებას იწვევს.

როდესაც არეზუ გრძნობს, რომ აღარ აკმაყოფილებს „ვაჟკაცი“ ქალის სტატუსი, რომ დაიღალა და სურს, ვიღაცას მიენდოს; როდესაც თავისი ბუნებრივი მდგომარეობისკენ მიბრუნებას და ქალად ცხოვრებას გადაწყვეტს, მას სწორედ უახლოესი ქალები უჯანყდებიან: დედა, შვილი და მეგობარი. მათი უკმაყოფილების „მოტივი“ სხვადასხვაა, მაგრამ – ერთნაირად შედეგანი: არეზუ წინააღმდეგობის განწევას, მათ წყენინებას, მათთან ბრძოლას ბედს შეგუებას არჩევს. „ზოგიერთები ამქვეყნად იმისთვის მოდიან, რომ „კი, ბატონო“ იძახონ, ზოგიერთები კი იმისთვის, რომ „კი, ბატონო“ ისმინონ. მამარჩემი სულ „კი, ბატონოს“ ამბობდა, დედაჩემს კი „კი, ბატონოს“ გარდა არაფრის

გაგონება არ უნდოდა“, – ამბობს ერთგან არეზუ. სწორედ იმ ადამიანების ეგოიზმიდან მომდინარე ძალადობასთან უნევს შეგუება არეზუს, ვისაც, „კი, ბატონოს“ გარდა, არაფრის გაგონება არ სურს. მან იცის: რაც არ უნდა მოიმოქმედოს, დედისა და შვილის გულს მაინც ვერ მოიგებს („ათივე თითზე თაფლი რომ წავიცხო და ამათ ჩავუღო პირში, მადლობის ნაცვლად მიკბენენ“).

სანამ არეზუ სოჭრაბ ზარჯუსთან ქორწინებას არ დააპირებს (რაც ამ უკანასკნელს ოფიციალურ სტატუსსა და უფლებებს მიანიჭებდა), არეზუს წინააღმდეგობა არ ხვდება. პირიქით, ქალები თითქოს აქეზებენ კიდევ მას და სხვადასხვა სარგებელს ხედავენ ზარჯუს არსებობაში: მაჰმონირისთვის ქალიშვილის „ბოი ფრენდი“ საზოგადოებაში თავმოწონების საშუალებაა – აქაოდა, მოდას არც მე ჩამოვრჩიო; აიეს დედის „შემანუხებელი“ ზრუნვა და ყურადღება მოაკლდება და მეტ თავისუფლებას მოიპოვებს; არეზუსა და სოჭრაბის დაახლოების „იდეის ავტორი“ – არეზუს მეგობარი შირინი (თავგადაკლული ფემინისტი და კაცთმოძულე) ზარჯუს „ასპირინის“ მოკრძალებულ როლს ანიჭებს, რომელიც მის მეგობარს ანუგეშებს, სადარდებელს „დაუამებს“ და სხვა არაფერი. როგორც კი ამ წყვილის ურთიერთობა სერიოზულ სახეს იღებს, მეგობრის დამოკიდებულებაც თანდათან იცვლება: ამ ქორწინებით იმსხვრევა შირინის თეორია კაცების შესახებ და მის მიერ აღმართული თავდაცვითი ციტადელი. ამასთან შეგუება კი ძნელია. არეზუზე მაჰმონირსა და აიეს ერთპიროვნულ ბატონობასაც საფრთხე ემუქრება – მოცილე გამოუჩნდა. სრულიად განსხვავებული ასაკის, ხასიათისა და მსოფლმხედველობის სამი ქალი: მაჰმონირი, აიე და შირინი არეზუზე განხორციელებული ძალმომრეობის საკითხში ერთსულგვანნი აღმოჩნდებიან, მას ბუ-

ნებრივ მოვლენას – ქალურობას და ქალურ სურვილს, ნაკლებად „ვაჟკაცი“ და ცოტა უფრო ბედნიერი იყოს, არ პატიობენ.

რომანში მოძალადეები სწორედ ქალები არიან, გაცილებით „დემოკრატიულად“ გამოიყურებიან მამაკაცი პერსონაჟები: არეზუს გარდაცვლილი მამა, რომელიც ტაქტიანად ახერხებდა იმპერატიული მაჰმონირისა და მორიდებული არეზუს საპირისპირო სურვილების დაკმაყოფილებას და ორივეს გულის მოგებას; სოჰრბ ზარჯუ, რომლის მამაკაცური (კარგი გაგებით) ხასიათი ეჭვს არ იწვევს და, არეზუს დახასიათებით, „სხვა მამაკაცებს არ ჰგავს“. საბოლოოდ, როგორც ჩანს, იგი მაინც „ეგუება“ ბედს – ქალების ძალადობას. რომანის ორივე დადებითი მამაკაცი პერსონაჟი დამთმობია და უფრო „სუსტი“, ვიდრე ქალები. არეზუს კითხვაზე, „რატომ გეშინია ასე მაჰმონირის?“, მამა პასუხობს: „მეშინია? – არა, მიყვარს... არ ვიცი, იქნებ მეშინია კიდევ... განა რა განსხვავებაა?“ არც ზარჯუ ატანს ძალას არეზუს გადანყვეტილების მიღებისას. ისიც „დამთმობია“, რადგან უყვარს. სწორედ ამით აშინებს ფემინისტი შირინი არეზუს: შეყვარება დამთმობას, სხვის პატივისცემას, მისთვის ანგარიშის განევას და, ამდენად, „ძლივს მოპოვებულ“ დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. თუმცა რომანის ბოლოს „ქალის დამოუკიდებლობის ქომაგ“ შირინს უგზო-უკვლოდ გადაკარგული ყოფილი შეყვარებულის ერთი ზარი აცვლევინებს პოზიციას, ანუ უკვე დასაშვებად მიიჩნევს იმას (თავისთვის), რასაც ასე თავგამოდებით ებრძოდა ცოტა ხნის წინ (მეგობრისთვის).

„შევეგუებით“ არ არის ფემინიზმის აპოლოგია. ეს რომანი უფრო ანალიზი და განსჯაა პრობლემისა: რა შეიძლება მოჰყვეს მამაკაცების სისუსტესა და ქალების მამაკაცურ სიძლიერეს. სად გადის საზოგადოებრივი თუ პიროვნული ჰარმონიის



ზღვარი? ამ კითხვების პასუხი თითოეულმა მკითხველმა უნდა იპოვოს, მას გამზადებულ რეცეპტს არ სთავაზობენ. მწერალი მკითხველს იმის საშუალებასაც უტოვებს, რომ „გადასინჯოს“ ფინალი: დროებითია თუ სამუდამო მთავარი გმირების „ბედს შეგუება“?

ენობრივი თვალსაზრისითაც განსხვავებული და საინტერესო „შევეგუებით“ სტუდენტური სლენგითა და თეირანული გამოთქმებითაა გაჯერებული. აშკარაა, რომ მწერალმა რომანის ენაზე საგანგებოდ იმუშავა. ნაწარმოები სათარგმნელად საკმაოდ რთულია, თუმცა ამაშიც არის მისი ერთ-ერთი ხიბლი...

გარდა გენდერული საკითხისა, კიდევ ერთი საინტერესო პრობლემა, რომელიც ფართოდაა გაშლილი ზოია ფირზადის თხზულებებში, ირანის ისლამური რესპუბლიკის სინამდვილეში კონფესიათა ურთიერთობა გახლავთ. ეს დელიკატური პრობლემა, პრაქტიკულად, ხელუხლებია თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, ამ კუთხით ზოია ფირზადის შემოქმედება გამონაკლისსაც წარმოადგენს. ასეთი ფაქიზი საკითხის არჩევა ნაწარმოებების თემად განსაკუთრებულ მწერლურ ტაქტს და, რაც მთავარია, პრობლემის ღრმად წვდომის უნარს მოითხოვს. ზოია ფირზადი ის მწერალია, რომელსაც აქვს უფლება, ისაუბროს ამ პრობლემაზე, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისთვის ეს თემა ცნობისმოყვარე თვალის მიერ ჭჭრუტანიდან დანახული „სინამდვილე“ არ გახლავთ. მას, მამით ირანელ მუსლიმს, დედა სომეხი (სომხური დიასპორის ქრისტიანული, კერძოდ კი, გრიგორიანული სარწმუნოების წარმომადგენელი) ჰყოლია. ამდენად, ოჯახშივე ჰქონდა შესაძლებლობა, ახლოს გასცნობოდა ამ ორი დიდი რელიგიის თანაარსებობის „აღმართ-დაღმართებს“ მუსლიმურ ქვეყანაში.

ცხადია, ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში არ განიხილება, რადგან კონსტიტუციურად ირანში ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენელთა უფლებები ისევეა დაცული, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ერთი შეხედვით, სრული ჰარმონია სუფევს – კეთილმეზობლობა, ნაცნობობა და თანამშრომლობა. ერთმანეთის რელიგიურ და ეროვნულ-ტრადიციულ ადათ-წესებს პატივს სცემენ, ულოცავენ და უსამძიმრებენ.

მაგრამ პრობლემა მაინც არსებობს. ის უფრო ღრმაა და დაფარული, თუმცა, ბუნებრივია, ყოველდღიურ ყოფაში მაინც იჩენს თავს: მიაჩნიათ კი სომხებს თავი ირანელებად? ირანის კონსტიტუცია მათ რელიგიას კი ცნობს და იცავს, მაგრამ არ ცნობს მათ ეთნიკურ იდენტურობას, არ მიიჩნევს მათ ეროვნულ უმცირესობად. მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა და ეთნიკური კუთვნილებისა, ირანის ყველა მოქალაქე ირანელია. როგორც ჩანს, ესეც ქმნის შინაგან პროტესტს, რაც ხშირად სრულიად არაადეკვატურ სურათებში ვლინდება: ზოგიერთი ნაწარმოების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოქმედება სომხეთში იშლება და არა – მუსლიმურ ირანში. კომპაქტურად დასახლებულ სომხებს მისვლა-მოსვლა თითქმის მხოლოდ ერთმანეთთან აქვთ. მეზობლები, თანამშრომლები, მეგობრები – ყველანი სომხები არიან. სომეხი მოახალშენეების მიერ აშენებული სომხური სკოლისთვის, სადაც მათივე შვილები სწავლობენ, სახელმძღვანელოები სომხეთიდან ჩამოაქვთ.

რადიო მუდამ სომხეთის ტალღაზეა მომართული.

სკოლაში ბავშვები ყოველწლიურად წერენ თხზულებას „ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“. სამშობლოდ სომხეთი მოიაზრება და ბავშვების მოვალეობაა, კარგად ისწავლონ სომ-

ხური ენა, ახსოვდეთ, რა ეროვნებისანი არიან, ილოცონ და ღმერთს სომხეთის თავისუფლება და აყვავება შესთხოვონ. მათ ლოცვებში ადგილი ირანისთვის – ქვეყნისთვის, რომელიც აცხოვრებს და არაფერში ზღუდავს მათ, არ არის.

საინტერესოა საუბარი ორ მამაკაცს შორის:

„– ჩვენ მათ პრობლემებში რატომ უნდა ჩავერიოთ?

– როგორ თუ რატომ, ირანელები ვართ თუ არა?

– სომხები ვართ თუ არა?“

ამ სომხების უმრავლესობა თავს სომხად ირანელებს შორის, სომხად ირანში კი არ აღიქვამს, არამედ – სომხად სომხეთში, თავისთავად სომხად, ყველასგან და ყველაფრისგან დამოუკიდებლად.

ვინ იცის, იქნებ ეს ერთგვარი დამცავი მექანიზმია იმის წინააღმდეგ, რომ მათ სარწმუნოებრივ-ეთნიკური ერთიანობა გაუხლიჩეს? რომ სახელმწიფო ცნობს მათ რელიგიურ განსხვავებულობას, მაგრამ არ ცნობს ეროვნულს? მათ ცნობიერებაში კი ამ ორი ცნების დაშორება სრულიად მიუღებელია და ეს წარმოშობს კიდევ ქვეცნობიერ პროტესტს ამგვარი „კონსტიტუციური უფლებების“ წინააღმდეგ? თუმცა ფირზადის პერსონაჟებთან მიმართებაში ერთი რამის თქმა შეიძლება: მათ მხოლოდ სომეხი მოქალაქე არ მიაჩნიათ ირანელად. სხვა, ნებისმიერი მოდგმისა და აღმსარებლობის ირანის მოქალაქე მათთვის ისეთივე ირანელია, როგორც – სპარსული ტომისა. ამგვარი განსაკუთრებულობის შეგრძნება (რაც არ უნდა ბუნებრივი და ადამიანური იმპულსებით იყოს გაპირობებული), ხშირად სრულიად არაბუნებრივ და არაჰუმანურ შთაბეჭდილებას ახდენს (მით უფრო, როცა მუსლიმურ სახელმწიფოში ხდება).

„თაჰერე ჩვენთან არასოდეს მოდიოდა. ალბათ, იცოდა, რომ მამაჩემს არ ესიამოვნებოდა... თაჰერეს ოთახი კი პატარა

იყო. თანაც, მამას რომ გაეგო, მათთან შევედი, მე და დედას გრძელ ლექციას ნაგვიკითხავდა კლასობრივი, რელიგიური და ტომობრივი განსხვავებების თაობაზე“.

თაჭერეს სკოლაშიც და მის გარეთაც ასე იხსენიებენ: „მუსლიმი დარაჯის გოგო“. და მით უფრო უცნაურად (არაჰუმანურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ჟღერს ეს ფრაზა, რომ იგი მუსლიმურ სახელმწიფოში გაისმის.

ქრისტიანი სომხები უცხოებივით ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც დაიბადნენ, სადაც შვილებს ზრდიან და სადაც მომავალშიც აპირებენ ცხოვრებას. ცხოვრობენ თავიანთი ცხოვრებით, ახარებთ და სტკივით თავისი, ირანის ლხინი და ჭირი კი თავისად არ ეგულებათ. ნიშნეულია თაჭერეს უსწავლელი მამის, „მუსლიმი დარაჯის“, სიტყვები: „მე ვიცნობ ამ ხალხს, ამ ქვეყნის პურს ჭამენ და ჩვენი ატანა არა აქვთ“.

ეს ფაქტი უფრო მასშტაბურად მოაზროვნე სომხების აღშფოთებასაც იწვევს. არტუში, პროტესტის ნიშნად, სომეხთა გენოციდის აღმნიშვნელ ცერემონიაზე არ დადის. არა იმიტომ, რომ ტრაგედიად არ მიიჩნევს. უბრალოდ, როგორც პიროვნება ზოგადად და არა როგორც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, თვლის, რომ, თუ ადამიანი ხარ, სხვისი ტკივილის გაზიარებაც უნდა შეგეძლოს, მარტო საკუთარს არ უნდა ტიროდე.

რა თქმა უნდა, რწმენას და ტრადიციას დიდი ძალა აქვს, მაგრამ, თუკი მაღალ იდეალებს ფარისევლობის კედელი ფარავს, მათ ჰუმანიზმთან აღარაფერი აქვთ საერთო. ხშირად ყალბი რელიგიურობა, ფარისევლური მართლმორწმუნეობა იმალება იმ ეროვნულ-რელიგიური პათეტიკის მიღმა, რითაც ფირზადის პერსონაჟები თავიანთ დაჟინებას ამართლებენ. ეს ერთნაირად ეხებათ მუსლიმებსაც და ქრისტიანებსაც.